გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 228

2023 წლის 8 დეკემბერი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს (ს/კ 418478034) 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს (ს/კ 418478034) 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს (ს/კ 418478034) 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 7ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

ა(ა)იპ ''მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს'' მიერ გაწეული სამუშაოების ანგარიში (საანგარიშო პერიოდი 2023 წლის 1 იანვარიდან 2023 წლის 20 ნოემბრამდე.)

ა(ა)იპ ''მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო'' (შემდგომში - „სააგენტო“) დაფუძნებულია დამფუძნებელ წევრთა საერთო კრების მიერ 2021 წლის 2 ივლისის (სხდომის ოქმი #1). ბრძანებით; ,,სააგენტოს“ უმაღლესი მმართველობითი ორგანოს წარმოადგენს სააგენტოს წევრთა სართო კრება. ,,სააგენტო“ შექმნილია განუსაზღვრელი ვადით. ,,სააგნტოს“ რეკვიზიტებია: საიდენფიკაციო კოდი 418478034; იურიდიული მისამართი: გორი შინდისის გზტკ. მე-2 კმ. ფაქტიური მისამართი: გორი შინდისის გზატკეცილი მე-2 კილომეტრი. ტელ: ცხელი ხაზი: +995 (595 33 55 08).

სააგენტო საწესდებო მიზნების მისაღწევად ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ,,სააგენტოს“ წესდებით, შინაგანაწესით და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ რეკომენდირებული ნორმებით და ინსტრუქციებით.

„სააგენტო“-ს ბიუჯეტს ამტკიცებს და აკონტროლებს გორის, ხაშურის, ქარელისა და კასპის მუნიციპალიტეტების მერების წარდგინებით გორის, ხაშურის, ქარელისა და კასპის მუნიციპალიტეტების საკრებულო. სააგენტოს დირექტორს ნიშნავს გორის, ხაშურის, ქარელისა და კასპის მუნიციპალიტეტების მერები, „სააგენტო“-ს დირექტორი ,,სააგენტოს“ წევრთა საერთო კრებისა და საკრებულოების წინაშე.

,,

წინამდებარე ანგარიში მოიცავს პერიოდს 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით და წარმოდგენილია „სააგენტო“-ს სამსახურებისა და სპეციალისტების გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმით.

„სააგენტო“-ს სტრუქტურა შედგება სამი სამსახურის ჯგუფებისაგან (მაგ. ვეტერინარული განყოფილების ჯგუფი (9 ადამიანი), მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების (12 ადამიანი) და ა.შ.)

„სააგენტო“-ს მთავარი სტუქტურული ქვეგანყოფილებებია:

- „ადმინიტრაციული განყოფილება“
- „ცხოველთა კონტროლისა და ვეტერინარული განყოფილება“
- „მატერიალურ-ტექნიკური განყოფილება“

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს დირექტორის მოადგილე

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს დირექტორის მოადგილე ასრულებს სააგენტოს წესებით და შინაგანაწესით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. კერძოდ ექვემდებარება სააგენტოს დირექტორს. კორდინაციას უწევს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას. მათთან ერთად განიხილავს სააგენტოში არსებულ სიახლეებს და მიმდინარე ცვლილებებს. ახდენს მოქალაქეების მიღებას და აძლევს განმარტებებს, უტარებს კონსულტაციას მიუსაფარ შინაურ ცხოველებთან დაკავშირებით. აუცილებლობიდან გამომდინარე აძლევს დავალებებს თანამშრომლებს და აკისრებს მათ დამატებით ფუნქციებს. კოორდინაციას უწევს თანამშრომლების სამსახურში გამოცხადებას და მორიგეობსა.ატარებს ამა თუ იმ თანამშრომლის მიმართ დისციპლინური სასჯელის ზომების გატარების აუცილებლობის შემთხვევაში წარუდგენს წინადადებებს სააგენტოს დირექტორს გადაწყვეტილების მისაღებად, ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს კანონმდებლობის გათვალისწინებით, სააგენტოს დებულებით,შინაგანაწესით, წესების და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად. დირექტორის მოადგილე ახორციელებს საჯარო ინფორმაციის სრულ დაცვას, ასევე კოორდინაციას უწევს ვეტერინარულ განყოვილებას

ცხოველთა ევთანაზიასთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციული განყოფილების ანგარიში

ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დირექტორი.

იღებს გადაწყვეტილებებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

- ადმინისტრაციის უფროსი ადმინისტრაციის სპეციალისტებთან ერთად წყვეტს შესაბამისი სამსახურების საქმიანობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებს;
- დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ადმინისტრაციული სამსახურის სტრუქტურასა და საშტატო განრიგს, ადმინისტრაციას დაქვემდებარებული თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებებს;
- შუამდგომლობს დირექტორთან იმ სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყოფის თაობაზე, რომელიც საჭიროა ადმინისტრაციის სამსახურების ამოცანების სათანადოდ შესასრულებლად;
- დირექტორს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ ნებისმიერ საკითხზე;
- დირექტორის ბრძანების შესაბამისად, კორდინირებასა და კონტროლს უწევს ბრძანებისა და დავალებების შესრულებას;
- ანაწილებს მოვალეობებს ადმინისტრაციის თანამშრომლებს შორის და აძლევს მითითებებს, აუცილებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილია ადმინისტრაციის კონკრეტული სპეციალისტის საქმე გადასცეს სხვა სპეციალისტს;
- უფლებამოსილია დირექტორს დასანიშნად წარუდგინოს ადმინისტრაციისა და მის დაქვემდებარებაში არსებული სამსახურების თანამშრომელთა კანდიდატურები;
- უფლებამოსილია დირექტორს წარუდგინოს წინადადებები ადმინისტრაციისა და მის დაქვემდებარებაში არსებული თანამშრომელთა წახალისება ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;

მენეჯერის ანგარიში

სააგენტოს ადმინისტრციის სამსახურში დასაქმებულია ერთი ფინანსური მენეჯერი რომლის უფლება/მოვალეობები განსაზღვრულია შრომითი ხელშკრულებით, სააგენტოს დებულებით და შინაგანაწესით.

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენს 1 157 772 ლარს, რასაც ემატება საკუთარი შემოსულობები 5000 ლარი.

სააგენტოში მომუშავეთა რიცხოვნობა შეადგენს 53 კაცს, აქედან 11 არის შტატით მომუშავე ხოლო დანარჩენი 42 არის შტატგარეშე თანამშრომელი.

2022 წლის 1 იანვრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით გახარჯულია 878 443 ლარი, აქედან:

- შტატში მყოფ თანამშრომელთა ანაზღაურება 154 495 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება- 434 987 ლარი;

- ოფისის ხარჯი - 102 751 ლარი;
- საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი - 29 456 ლარი;
- ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის და რემონტის ხარჯები - 14 195 ლარი;
- ცხოველთა კვების ხარჯი – 28 980 ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 49 576 ლარი;
- უნიფორმის შესყიდვის ხარჯი - 4192 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 614 ლარი;
- ბიულეტინი - 1222 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 57 975 ლარი.

2023 წლის 1 იანვრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 20 104 ლარი.

სულ საერთო ჯამში სააგენტოს ფუნქციონირების, სხვადასხვა საჭიროებების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმდა 78 ხელშეკრულება საერთო თანხით - 263 376 ლარი, მათგან გამარტივებული შესყიდვის წესით, მონეტარული ზღვრის დაცვით სააგენტომ გააფორმა 40 ხელშეკრულება, კონსოლიდირებული ტენდერით 31, ხოლო ელექტრონული ტენდერის მეშვეობით 7 ხელშეკრულება.

სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლები, გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და შესყიდვის ტიპებია.

2023 წელს საერთო ჯამში გამოცხადდა 7 NAT ტიპის ღია, ელექტრონული ტენდერი:

1. ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT230009049**, შესყიდვის ობიექტი მედიკამენტი „კეტამინი“, (33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები) რომელიც გამოიყენება ცხოველთა ანესთეზიისთვის კასტრაცია/სტერილიზაციის ოპერაციის დროს. შესყიდვის ღირებულებაა 3700 ლარი.
2. ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT230014771**, შესყიდვის ობიექტია ძაღლის მშრალი და დაკონსერვებული საკვები, (15700000 - ცხოველის საკვები) რომლის ღირებულება შეადგენს 36100 ლარს.
3. ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT230004450** შესყიდვის ობიექტია სამედიცინო დანიშნულების სახარჯი მასალების შესყიდვა (33100000 - სამედიცინო მოწყობილობები) როგორიცაა: ჭირის და ლეიშმანიოზის სწრაფი ტესტები ტენდერით შეძენილი საქონლის ღირებულება შეადგენს 9100ლარს.
4. ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT230003237** შესყიდვის ობიექტია სამედიცინო დანიშნულების სახარჯი მასალების შესყიდვა (33100000 - სამედიცინო მოწყობილობები) როგორიცაა: სკალპელები და დანის პირები, ჭრილობის გასაკერი საშუალებები, სამედიცინო უნიფორმა, ტენდერით შეძენილი საქონლის ღირებულება შეადგენს 14450 ლარს.
5. ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე, **NAT230003261** შესყიდვის კონკრეტული ობიექტია ვეტერინარული დანიშნულების მედიკამენტები (33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები), რომლის საერთო ღირებულებაა 8050 ლარი.
6. სააგენტოს ბალანსზე მყოფი ოთხი ერთეული სატრანსპორტო საშუალებების რემონტის შესყიდვისთვის ელექტრონული ტენდერი **NAT230003406**.
7. ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT230017296**, შესყიდვის ობიექტი ავტომანქანა 3 ერთეული, (34100000 - ავტოსატრანსპორტო საშუალებები). შესყიდვის ღირებულებაა 49 890 ლარი.

იურისტი/შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

ექვემდებარება სააგენტოს დირექტორს და ადმინისტრაციის უფროსს. უზრუნველყოფს ,,სააგენტო“-ს დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას; იცავს სააგენტოს სამართლებრივ ინტერესებს, ამზადებს და ზედამხედველობას უწევს სააგენტოსს დირექტორის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას, მონაწილეობას იღებს სააგენტოს მიერ დასადები ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პროექტების მომზადებაში. უზრუნველყოფს შიდაუწყებრივი დოკუმენტების პროექტების შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან, ამზადებს სამართლებრივ აქტებს. მეთვალყურეობს შემოსულ - წერილებსა და განცხადება(საჩივრებს). იცავს ,,სააგენტოს“ ინტერესებს სასამართლოში, აწარმოებს დაქირავებულთა შრომითი ხელშეკრულებების რეესტრს, იცავს შრომითი ხელშეკრულებით, შინაგანაწესით და სამუშაოთა აღწერილობით დადგენილ წესებსა და პირობებს. უშუალოდ ანხორციელებს მასზე დაკისრებულ უფლებამოვალეობებს, ვალდებულია დაიცვას არასაჯარო ინფორმაციის კომფიდენციალობა, წარუდგენს დირექტორს წერილობით ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 20 ნოემბრამდე იურისტის მიერ მომზადებულია: 171 (ას სამოცდათრთმეტი) ბრძანების პროექტი; დადებულია ,,სააგენტოს“ ყველ თანამშრომელთან შრომითი ხელშეკრულება; ასევე ,,სააგენტოს“ იურისტის მიერ შექმნილია სხვადასხვა შიდა სამართლებრივი აქტები და ასევ სხვადასხვა შიდა სამართლებრივი დოკუმენტების პროექტები.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს შრომით უსაფრთხოების სპეციალისტი ვალდებულია სააგენტოში მოახდინოს შრომის პირობების ინსპექტირება და შრომის უსაფრთხობის დოკუმენტაციის წარმოება; სააგენტოში შრომის უსაფრთხობის დაცვის სისტემის შემუშავება, დანერგვა და შესრულებაზე კონტროლის განხორციელება; სააგენტოში შრომის უსაფრთხობის კულტურის დანერგვასთან დაკავშირებით წინადადებების ინიცირება და „დამსაქმებელთან“ წარდგენა; შრომის უსაფრთხობეასთან დაკავშირებით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და შესაბამის ცვლილებებზე მუდმივი ინფორმირებულობა და „დამსაქმებლის“ დროული ინფორმირება; სააგენტოს სამუშაო სივრცეებში საფრთხეების განსაზღვრა, რისკების შეფასება სააგენტოს საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით; სააგენტოშ სამუშაო სივრცეში რისკების აღმოჩენა, იდენტიფიცირება, მათი დადოკუმენტირება (ფოტო და ვიდეო მასალის გამოყენებით) და მათ აღმოსაფხვრელად (შესამცირებლად) საჭირო ღონისძიებების გატარების ინიცირება და უზრუნველყოფა; სააგენტოს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების შიდა სივრცეების უზრუნველყობა შესაბამისი შინაარსის გამაფრთხილებელი და საინფორმაციო ნიშნებით (სტიკერებით);სააგენტოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების, საწარმოო ტრვმების, პროფესიული დაავადებების შესახებ დოკუმენტაციის წარმობა, მათი აღრიცხვა, გამომწვევი მიზეზების შესწავლა, პრევენციული ღონისძიებების გატარება და „დამსაქმებლის“ ინფორმირება; სახანძრო და სხვა სახის საგანგებო სიტუაციების შესახებ საგანეტოს თანამშრომლებისთვის შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული (სიმულაციური) სწავლებების პერიოდული ჩატარება;

2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 20 ნოემბრამდე ,,სააგენტოს“ შრომის უსაფრთხობის სპეციალისტის მიერ შესრულებული სამუშაოები: ,,საქართველოს ორგანული კანონის შრომის უსაფრთხოების შესახებ“ - შესაბამისად მომზადებულია ყველა ძირითადი დოკუმენტაცია.,,სააგენტოში“ მოწყობილია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდები, საევაკუაციო გეგმა; ასევე უტარდება ინსტუქტაჟები ,,სააგენტოს“ თანამშრომლებს. სისტემატური ზედამხედვლობა და კონტროლი არსბული რისკების და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ჩატარება რისკის მინიმუმამდე დასაყვანად.

კანცელარიის უფროსი სპეციალისტის ანგარიში

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალურ სააგენტოში დასაქმებულია ერთი თანამშრომელი კანცელარიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე. მისი უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია კანონმდებლობით, სააგენტოს დებულებით და შინაგანაწესით. კანცელარიის უფროსი სპეციალისტი ახორციელებს სააგენტოს საქმის წარმოებას, აღრიცხავს სააგენტოში შემოსულ და გასულ წერილებს, ამზადებს წერილებს და დროულად აწვდის ადრესატებს შესასრულებლად შემოსულ კორესპონდენციას. ზედამხედველობას უწევს დირექტორის რეზოლუციისამებრ დოკუმენტების შესრულების ვადების დაცვას. აკონტროლებს სააგენტოს ოფიციალურ მეილს. კანცელარიაში ხდება ყველა შემოსული თუ გასული კორესპონდენციის აღრიცხვა როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური ფორმით, დღეების და თვეების შესაბამისად მინიჭებული ნომრით. პარალელურად აწარმოებს: ბრძანებების, შემოსული, გასული წერილებისა და მოხსენებითი ბარათების აღრიცხვის ჟურნალს.
სულ 2023 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით რეგისტრირებულია:
ბრძანება - 171
გასული წერილი -107
შემოსული წერილი -175
მოხსენებითი ბარათი -78
კანცელარიის უფროსი სპეციალისტი ასევე აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს; აღრიცხავს და აკონტროლებს ,,სააგენტოში“ დასაქმებულ თანამშრომელთა შვებულებებს; ვალდებულია დაიცვას თანამშრომელთა პერსონალური მონაცემები. 2023 წლის ნოემბრის მდგომარეობით ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალურ სააგენტოში სულ დასაქმებულია 53 თანამშრომელი. აქედან 11 შტატიანი, 42 შტატგარეშე.

ვეტერინარული განყოფიების ანგარიში

სააგენტოს ვეტერინარული განყოფილებას ხელმძღვანელობს ვეტერინარული განყოფილების უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დირექტორი. ვეტერინარულ განყოფილებაში დასაქმებულია ხუთი ვეტექიმი, სამი ფერშალი და ერთი ლაბორანტი. ვეტერინარული განყოფილება მუშაობს 24 საათიანი გრაფიკით რომელიც განაწილებულია სამ ცვლაზე.მათ ზედამხედველობას და სამუშაო გრაფიკის მართვას უწევს ვეტერინარული განყოფილების უფროსი.

ვეტერინარული განყოგფილების უფროსი აწარმოებს მედიკამენტების და დამხმარე სამედიცინო მასალების აღრიცხვასა და კონტროლს. საევე ანგარიშვალდენულია სურსათის ეროვნული სააგენტოს და სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სააგენტოს დროულად მიაწოდოს „ვეტერინარული სამსახურის და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის“ საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების მიღება/შეძენასა და გამოყენების აღრიცხვის შესახებ.

ვეტერინარული განყოფილების უფროსი აწარმოებს კასტრაცია-სტერილიზაციის, ანტირაბიული ვაქცინაციის და ცხოველის საინდიფიკაციო ნომრების(საყურე თაგის“ბირკა“ ტატუ) ცხოველების ისტორიას და ჟურნალს. ასევე აწარმოებს ევთანაზიის აქთებს.

ვეტერინარული განყოფილების უფროსი მორიგე ვეტერინართან და ფერშალთან ერტად აწარმოებს ყოველდღიურ ვოლიერების შემოვლას რათა გაეცნოს ახალი და სააგენტოში მყოფი ცხოველების ჯამრთელობის მდგომარეობს, საეჭვო სიმფტომების დაფიქსირების დროს დავალებას აძლევს ვეტერინარს და ლაბორანტს

ჩაატარონ შესაბამისი ლაბორატორიული კვლევა დაავადების გამოსავლენად და შემდგომში მათი მკურნალობისათვის.

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოში 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით შემოყვანილია 2604 ცხოველი.

აქედან;

- გორიდან - 1267;
- ხაშურიდან - 496;
- ქარელიდან - 376;
- კასპიდან - 288;

კასტრაცია სტერილიზაცია ჩაუტარდა 1828 ცხოველს ;

აქედან:

- გორიდან - 1000 (903 ძაღლი - 97 კატა);
- ხაშურიდან - 403 (342 ძაღლი - 61 კატა);
- ქარელიდან - 250 (241 ძაღლი - 9 კატა);
- კასპიდან - 175 (174 ძაღლი ; 1 კატა);

სხვადასხვა სახის სამედიცინო მანიპულაციები (ამპუტაცია, მოტეხილობა, ტრამვების დამუშავება) 212 ცხოველი; სიკვდილიანობა 254 ცხოველი; ევთანაზია - 144 ცხოველი; გაჩუქებულია 52 ძაღლი; ამჟამად სააგენტოშია 109 ძაღლი;

უფროსი ფერშალი

(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს ვეტერინარული განყოფილების უფროსი ფერშალი კოორდინაციას უწევს ვეტერინარების მიერ გაცემულ დავალებების შესრულებას. კომისიის წევრია ევთანაზიის აქტის შედგენაში. ეროსი ფერშალი ვალდებულია შეამოწმოს სამედიცინო პრეპარატების და დამხმარე მასალების ვადები.

ფერშალი

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს ფერშალი ანხორციელებს ვეტერინარის და უფროსი ფერშალის დავალებებს. ვეტერინარის დავალებით ანხორციელებს ცხოველების მომზადებს ოპერაციისათვის;

ლაბორანტი

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს ვეტერინარული განყოფილების ლაბორანტი ახორციელებს სხვადასხვა სახის ლაბორადორიულ კვლევებს სხვადასხვა სახეობის სწრაფი ტესტებით. აწარმოებს შესაბამისი ჩანაწერების აღრიცხვას.

მატერიალურ ტექნიკური სამსახური

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური განყოფილება პასუხისმგებელია ,,სააგენტოს“ ბალანსზე რიცხული ავტომობილების გამართულად მუშაობაზე. ზედამხედველობას უწევს საწყობის სპეციალისტისა და ტექნიკური მუშაკის მუშაობს.

ტრანსპორტის სპეციალისტი

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს ტრანსპორტის სპეციალისტი ახორციელებს სააგენტოს ავტოპარკის კონტროლს. ავტომობილების ტექნიკურ გამართულობას და მათ მიმდინარე რემონტს. 2023 წელს მოხდა ,,სააგენტოს“ ავტოპარკის განახლება, კერძოდ: შეძენილია 3 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება (ფურგინის ტიპის ავტომობილი, FORD CONECT);

საწყობის სპეციალისტი

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს საწყობის სპეციალისტი ვალდებულია მიიღოს სააგენტოსთვის საჭირო პროდუქცია დაასაწყობოს და მიზანმიმართულათ გასცეს საჭიროვების მიხედვით. ახორციელებს ყოველთვიურ სასაწყობო აღრიცხვას და

მონაცემებს აწვდის ფინანსურ მენეჯერს.

ტექნიკური მუშაკი

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს ტექნიკური მუშაკი უზრუნველყოფს სააგენტოს ტექნიკურ მომსახურეობას. ასევე ასრულებს ცხოველების ლეშის და სამედიცინო ნარჩენების განადგურებას კრემატორიუმში.

ქოლცენტი-დაცვა

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს ქოლცენტრი მუშაობს 24 საათიანი გრაფიკით პასუხობს მოქალაქეების ზარებს ანხორციელებს ზარების მონიტორინგს და აგზავნის შესაბამის ჯგუფს საჭიროების ადგილზე. ასევე ანხორციელებს მოქალაქეების მიღებას სააგენტოში და მათ კონტროლს უსაფრთხოების მიზნით. დღეის მდგომარეობით ,,სააგენტოს“ ქოლცენტრში დაფიქსირებულია 2711 შემოსული ზარი.

მძღოლ დამჭრი

,,სააგენტოში“ მძღოლ-დამჭერ(ებ)ი მუშობენ 24 საათიანი გრაფიკით. იგი იღებს შესაბამის ბარათს ქოლცენტრის მორიგესაგან სადაც წერია ინიციატორის სახელი გვარი მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია, რის შემდეგაც გადის საჭიროების აგდგილზე რეაგირებისათვის. აწარმოებს მის მიერ დაჭერილი და შემოყვანილი ცხოველ(ებ)ის ისტორიას; შესაბამისი ვეტერინარული პროცედურების შემდეგ დამჭრთან ერთად აბრუნებს ცხოველს დისლოკაციის ადგილზე.

ცხოველის დამჭერი

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს ცხოველების დამჭერი მუშაობს 24 საათიანი გრაფიკით. ანხორციელებს ცხოველების დაჭერას საერთაშორისო აპრობირებული ჰუმანური მეთოდით ათავსებს ავტომობილში, შემდგომ კი სააგენტოში არსებულ ვოლიერებში.

ცხოველის დამჭერი

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს ცხოველების მომვლელი მუშაობს 24 საათიანი გრაფიკით. ზრუნავს ვოლიერების სისუფთავეზე და ცხოველების კვებაზე.

პიარი

სააგენტოს დირექტორსა და ადმინისტრაციის უფროსს. პასუხისმგებელია ,,სააგენტოს“ ოფიციალური ვებ - გვერდისა და ,,facebook” გვრდების მუდმივად განახლებაზე და სიახლების განთავსებაზე; უზრუნვლყოფს ადგილობრივ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას; ოპერატიულად განათავსოს ყველა ის სიახლე რაც ხორციელდება ,,სააგენტოში“.